



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების  
ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 27

2016 წ. "07" 11

ქ.თბილისი

**შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ**

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56<sup>2</sup>-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56<sup>3</sup>-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 405155638) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2000-ით.
2. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 7 ნოემბრის №10 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ.№1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე  
მაგდა მალრაძე



მდივანი  
თუთა ნარმანია



აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
ბაკალავრიატი	1. ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტი 2. ბიზნესის ადმინისტრირება - ფინანსები 3. საინფორმაციო ტექნოლოგიები	1. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში; 2. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში; 3. ინჟინერიის ბაკალავრი ინფორმატიკაში.
მაგისტრატურა	ბიზნესის ადმინისტრირება და თანამედროვე ტექნოლოგიები	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში.
დოქტორანტურა	ბიზნესის ადმინისტრირება	ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი.